N24/02-სბ
24 თებერვალი 2025 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით შპს „საკენი ბიოგრაფისგან“ (ს/ნ 404651015) შემდგომ „მარწმუნებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორების - თამარ გამგონეიშვილის (პ/ნ 01024065723) და ვასილ ფხაკაძის (პ/ნ 01008027919) სახით, კონსტანტინე ურუშაძეს (პირადი № 01008050556) (შემდგომ „რწმუნებული“) ანიჭებენ უფლებამოსილებას მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N25 (საკადასტრო კოდი: 01.10.14.008.052) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების/არსებულის ცვლილების/კორექტირების, მშენებლობის ნებართვის მიღების თაობაზე, რისთვისაც რწმუნებული უფლებამოსილია:
მიმართოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ შორის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქონების მართვის სააგენტოს, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძო პირს, კერძო ორგანიზაციებს, მათ შორის კომუნიკაციების (ელექტროენერგია, გაზი, წყალი, სატელეკომუნიკაციო, ფიჭური კავშირგაბმულობის) კომპანიებს და წარადგინოს განცხადება, ინფორმაცია, დოკუმენტაცია, არქიტექტურული პროექტი, შენობა-ნაგებობის არქიტექტურული ესკიზი/რენდერი, ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა მიწის ნაკვეთის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, პირველი კლასის ობიექტზე დასტურის მოპოვების, სამშენებლო ღობის მოწყობის სამუშაოების შეთანხმების, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის/დასტურის აღებისათვის, თავად განსაზღვროს განცხადებისა და მოთხოვნის შინაარსი, ხელი მოაწეროს არქიტექტურული ობიექტის მშენებლობის/განთავსების მიზნით შემუშავებულ ნებისმიერ დოკუმენტს, მათ შორის ვიზუალურ/გრაფიკულ დოკუმენტაციას, შეიმუშავოს არქიტექტურული ესკიზი და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, გადაიხადოს მოსაკრებელი/მომსახურების საფასური, განახორციელოს არქიტექტურული პროექტის კორექტირება, თავად განსაზღვროს მომსახურების მიღების ვადა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ პირთან/ორგანიზაციასთან რომლის პასუხი/დოკუმენტი/გადაწყვეტილებაც საჭიროა მინდობილი უფლებამოსილების განსახორციელებლად.
რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი მოქმედებებიც, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ საჭირო და აუცილებელია მინდობილი უფლებამოსილების განსახორციელებად.
წინამდებარე მინდობილობა ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, მის გაუქმებამდე.

შპს „საკენი ბიოგრაფისგან“ (ს/ნ 404651015)

თამარ გამგონეიშვილი (პ/ნ 01024065723)

Tamar Gamgoneishvili
Digitally signed by Tamar Gamgoneishvili
Date: 2025.02.25 15:07:15 +04'00'

ვასილ ფხაკაძე (პ/ნ 01008027919)

Vasil Pkhakadze
Digitally signed by Vasil Pkhakadze
Date: 2025.02.25 16:55:26 +04'00'
